მრავალფუნქციური კომპლექსი

დემონტაჟის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისი, კალისტრატე ცუთათელაძის #7
(ს.კ.: 01.14.03.042.006; 01.14.03.042.239)

შემსრულებელი: გუგა დათუკიშვილი



თბილისი 2023

ფოტოფიქსაცია





ფოტოფიქსაცია





საპროექტო ტერიტორიის და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის N7-ში, საკადასტრო კოდებით: 01.14.03.042.006; 01.14.03.042.239 ჯამური ფართობით 642.0 კვ.მ. დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია სამი ერთსართულიანი სადემონტაჟო შენობა N 1(1); 2(1); 3(1).

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო საკადასტრო რუკა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ტერიტორიის დათვალიერება და შესწავლა.
სადემონტაჟო შენობები მართკუთხა ფორმისაა და ერთმანეთისგან გამოყოფილია საერთო კედლებით. დასაშლელი შენობების საერთო ფართობი 553.3 კვ.მ-ია, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 39.88x18.50 მეტრი, ხოლო მოცულობა შეადგენს 3320 კუბ.მ.
შენობებს გააჩნია მზიდი აგურის კედლები და ანაკრები რკინაბეტონის გადახურვის ფილები.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობების დემონტაჟის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. დაშლის სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორია უნდა დაიკვალოს დროებითი ღობის მოწყობის არეალის ფარგლებში, მოხდეს შესასვლელი სამანქანე გზის ფორმირება, ნაკვეთი შეიღობოს დროებითი სამშენებლო ღობით და მოეწყოს ქვეითთა უსაფრთხოების ქოლგა (თანდართული სქემების შესაბამისად).

დემონტაჟის საინჟინრო მომზადება:

მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული რეკომენდაციები და მოთხოვნები. ამის შემდგომ სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. პროექტის შედგენა უნდა მოხდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტების შესაბამისობით.

დროებითი სათავსოების და აუცილებელი საჭიროების საპირფარეშო, შენობა-ნაგებობების მონტაჟი. სავალდებულოა ეს ყველაფერი მოეწყოს საკადასტრო საზღვრებში სამშენებლო გეგმის შესაბამისად.

დროებით სამშენებლო ღობე უნდა მოეწყოს ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი საპატრულო პოლიციის შეთანხმების აქტში მოცემული მითითებების გათვალისწინებით. ღობეზე უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა მშენებლობის ნებართვით დადგენილი მონაცემებით.

უნდა განხორციელდეს არსებული გარე და შიდა ქსელების გამორთვა და საპროექტო ტერიტორიის უზრუნველყოფა დროებითი წყლითა და ელექტრო ენერგიით ადგილებზე არსებული წყაროებიდან.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ უნდა განთავსდეს დროებითი საგზაო ნიშნები ურბანულ სამსახეში და თბილისის საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით რომლის დემონტაჟშიც მოხდება მშენებლობის დასრულებისას.

დემონტაჟის წარმართვის ცალკეული ეტაპები:

1. ტერიტორიის შემოღობვა
2. სახურავის დაშლა
3. კარფანჯრების მოხსნა
4. შიდა ტიხრების დაშლა
5. კედლების დაშლა
6. საძირკვლის დაშლა
7. ტერიტორიის დასუფთავება

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.
აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციების ერთად!

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

კონსტრუქციის დროებითი გამაგრება/საჭიროების შემთხვევაში, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით.
ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.
სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დროს აუცილებლად გათვალისწინდეს:

-სამონტაჟო ლითონის კიბეების დაყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან;
-ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;
-ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;
-დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ ღია მოედანზე (კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთი 01.14.03.042.065);
-მონოლითური რკინაბეტონის ნაწილების დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით.

დაშლილი სამშენებლო მასალებისა და ნაგვის დასატვირთად გამოყენებულ იქნას თვითმცლელი ავტოტრანსპორტი. დასაშლელი სამუშაოების წარმოების პერიოდში დროებითი ღობის ფარგლებში უნდა მოხდეს გადარჩეული მასალა-ნაკეთობების (აგურის, ხის, მასალის და სხვა.) დაშტაბელება.

სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვის გატანა ნაყარში გათვალისწინებულია თვითმცლელი ავტოტრანსპორტით. მათი ნუსხა მოყვანილია ქვემოთ.
სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობების დაშლის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. შენობების დაშლის სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობის ქვეშ. სამშენებლო მოედანზე შექმნილი უნდა იქნას შრომის უსაფრთხოების ჟურნალი. დაშლის სამუშაოებზე.

მოთხოვნები კადრებზე და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსებზე:

დამკვეთის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციით სადემონტაჟო სამუშოებზე ყოველდღიურად უნდა დასაქმდეს საშუალოდ 5 მუშაკი მთლიან პროგრამის შესასრულებლად. ცხადია მათი რაოდენობა დაშლს პროცესში დაძაბულობის გათვალისწინებით დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იქნება.
ჩვენს შემთხვევაში დასაქმებულთა მაქსიმალურ რაოდენობაში (5 მომუშავე) მუშები შეადგენენ 60%-ს, ინჟინერტექნიკური და საშუალო ტექნიკური პერსონალი 20%, ტრანსპორტის მომსახურებაზე - 20%. ამდენად იქნება 3 მუშა, 1 ინჟინერი და 1 ტექნიკური მუშაკი.

მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ:

მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ და წ 1.04.03-85-ით მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი. კონკრეტული შემთხვევაში შენობების და სამუშაო მოცულობიდან გამომდინარე, ხანგრძლივობა პირობითად განსაზღვრულია 6 თვის ვადაში, რაც არის გაწერილი და გათვალიწინებული კალენდარულ გრაფიკში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა შენობების დემონტაჟისას 6 თვის პერიოდში შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების შემთხვევაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქ, თბილისის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც. სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვა უწყვეტ ფინანსირებაზეა დამოკიდებული, რაც უნდა გაითვალისწინოს დამკვეთმა.

რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები:

დემონტაჟის სამუშაოების უწყვეტი რიტმის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომედირებული ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ.

1. ავტოთვითმცლელი, ძირიანი და სპეც. ავტოტრანსპორტი ტვირთის გადასატანად - უცხოური წარმოების - 2 ც
2. ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასასაწყობებლად - უცხოური წარმოების - 1 ც
3. გადასატანი კომპრესორი - CO-45 - 1 ც
4. ელექტრომესადუღებელი საჭრელი აგრეგატი - CO-48 - 1 ც
5. ხელის ელექტროპნევმატური ჩაქუჩი - 2 ც
6. სამშენებლო საწეველა თვითწარმოებით 300 კგ, ტვირთის აწევით სიმაღლეზე 10 მ - TP-5 - 1 ც
7. ხის და ლითონის სახარაჩო სექციები 100მ^2
8. მეტალის მჭრელი აგრეგატი - უცხოური წარმოების - 1 ც
9. ავტოგენური შედუღების აპარატი - 1 ც

შენობის დასაშლელ სამუშაოთა წარმოების პროექტის შესადგენი ნორმატივები:

1. СНиП 3.01.01-85 ,,Оригинализация строительного производства'' М.1989

2. СНиП -4-80 ,,Техника безопасности на строительстве'' М. 1981

3. Справочник инженера строителя, М. 1989

4. Строительные стреловые самоходные краны, М. 1984

5. კრებული სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები", ამონაწერი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან, თბ., 1987

მშენებლობაზე შრომის და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დაგენილებით;)"; და ,,სნ და წ. 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.
დაშლის დროს საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.
ადვილად აალებადი მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.
ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.
ამწე საწევლების; ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.
უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.
აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

ხმარების წინ ინსტრუმენტი უნდა იქნეს დათვალიერებული. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს. აკრძალულია სამშენებლო ინსტრუმენტების გამოყენება არადანიშნულების მიხედვით.

დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ელექტრო ან პიროვანი აპარატებით ლითონის ელემენტების ჩაჭრისას, 5 მეტრის რადიუსში ტერიტორია უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ფეთქებადი (მაგალითად შანგბადის ბალონები) მასალებისაგან. სამშენებლო სამუშაოებზე მანქანების, ინსტრუმენტის, ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის, მოწყობილობის, კოლექტიური და ინდივიდუალური საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება: მანქანების და დამცავი საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეც ისინი ირიცხებიან; სამუშაოთა წარმოების შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებზე ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს.
დამუშავებულ ქვაბულში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ჩასვლისათვის უნდა ჩაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე, ამავე დროს აუცილებელია ქვაბულის ფერდოების ჩამოშლისადმი მდგრადობის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში მისი გამაგრება შეფიცვრით ან შპუნტებით.
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.
ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები:

მშენებლობის პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. ამ მიზნით სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს დახურულ ღარებში და ინვენტარული ტიპის კონუსული ნაგავსაყრელების მეშვეობით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში. ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.
დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოვუშვათ ამწის საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე მიტანა შესაბამისი სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.
დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.
გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე დემონტაჟის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე დაშლა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისად.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.14.03.042.006**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023360101 - 11/04/2023 10:48:36

მომზადების თარიღი
11/04/2023 14:07:51

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**03**	**042/006**

მისამართი: ქალაქი თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N 7

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 580.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**42;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2 და N3
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 475.20

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023360101 , თარიღი 11/04/2023 10:48:36
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/04/2023 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "შანხაი სიტი", ID ნომერი:405577843

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "შანხაი სიტი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.03.042.006**
განცხადების ნომერი: **882021910945**
მომზადების თარიღი: **26/10/2021**
ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **580 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.14.03.042.239**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023363184 - 11/04/2023 16:15:19

მომზადების თარიღი
11/04/2023 17:26:30

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**03**	**042/239**

მისამართი: ქალაქი თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N 7ა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 62.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023359935 , თარიღი 11/04/2023 10:24:48
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/04/2023 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "შანხაი სიტი", ID ნომერი:405577843

მესაკუთრე: **ადწერა:**
შპს "შანხაი სიტი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.03.042.239**
განცხადების ნომერი: **882017287309**
მომზადების თარიღი: **11/04/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **62 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 3.24 - 2ც.
- 1.26 - 4ც.
- 3.25 - 2ც.
- ციმციმა - 7ც.
- მედროშე 1 ადამიანი
- ქვეითთა მოძრაობა
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საპროექტო ტერიტორია
- ღობურა
- დამცავი ქოლგა



ArchDisegno

შპს "არქდიზენიო"
(405462039)

დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციები / ექსპერტები

შემსრულებელი

პროექტის ავტორი

გუგა დათუკიშვილი
(01008027258)

პირობითი აღნიშვნები

- საკადასტრო საზღვარი
- ამწემანქანა
- ექსკავატორი
- 1 დარაჯის ჯიხური
- 2 დროებითი ღია საწყობი
- 3 დახურული ფარდული

პროექტის დასახელება

უნივერსალური მაღაზია

ქ. თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის #7
(ს.კ.: 01.14.03.042.006; 01.14.03.042.239)

დამკვეთი

შპს "შანხაი სითი"
405577843

პროექტი

ფაილი

შესრულებულია ArchiCAD - PLA ფაილში და წარმოდგენილია PDF ფაილის სახით

შეამოწმა

გიორგი დათუკიშვილი

საავტორო უფლება

შპს "არქდიზენიო"

შენიშვნა

ნახაზის დასახელება

სამშენებლო გენგეგმა

თარიღი: 13.06.2023
მასშტაბი:
ფორმატი: A-3
ფურცელი:

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | დღე | 6 თვე | | |

სიტუაციური სქემა



ქ. თბილისი, კ. ქუთათელაძის ქუჩა №7; №7ა, შ.პ.ს. "შანხაი სითი"-ს საკუთრებაში არსებული 580 და 62 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გ ე გ მ ა



პირობითი აღნიშვნები

WGS 84 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხოვრებელი შენობა	ბორდიური	ბეტონის ღობე
ქას — არასაცხოვრებელი შენობა	ა — ასფალტის გზა	მავთულბადის ღობე
ფ. — ფარდული	გრ. — გრუნტის გზა	გ — გაზი
სათბური — სათბური	რკინიგზა	წ — წყალი
ნანგრევი — დანგრეული შენობა	მთავარი იზოჰიფსი	ნაყარი მიწა
რეზ. — რეზერვუარი	221 — იზოჰიფსი სიმაღლით	ჩამოჭრილი გრუნტი
თხრილი	ქვის ღობე	ხაზოვანი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით
ტრ. — ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური	ლითონის ღობე	ქარსაცავი ზოლი
		ცოცხალი ღობე

მიწის ნაკვეთის საზღვარი	
მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი	
ხეები, პალმა, ბუჩქი	
ბოძები	
განათების ელ. ბოძი	
ონკანი, სათვალთვალო ჭა	
ანძა, ანტენა	

თბილისი ჯგუფი ბარნოვის ქ. №71
info@tbilisigroup.ge 322 40 06 60

დირექტორი	ნ. ჭეიშვილი
აზომა	გ. მოდებაძე
დახაზა	ა. კრივოლიაკო
მ 1:500	2023წ.

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1; ს/კ 01.14.03.042.006

გენ.გეგმა მ1:500





დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	01/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		გენ.გეგმა მ1:500	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

პირველი სართულის გეგმა +0.000 ნიშნულზე მ1:100



შენობა-ნაგებობა 01/1

1.	ფართი	17.0 მ²
2.	ფართი	24.0 მ²
3.	ფართი	35.2 მ²
4.	ფართი	28.4 მ²
5.	ფართი	18.9 მ²
		123.5 მ²

შენობა-ნაგებობა 02/1

1.	ფართი	40.3 მ²
2.	ფართი	41.1 მ²
		81.4 მ²

შენობა-ნაგებობა 03/1

1.	ფართი	44.4 მ²
2.	ფართი	22.2 მ²
3.	ფართი	19.6 მ²
4.	ფართი	63.9 მ²
5.	ფართი	17.2 მ²
6.	ფართი	29.7 მ²
7.	ფართი	12.6 მ²
8.	ფართი	13.8 მ²
9.	ფართი	8.9 მ²
10.	ფართი	32.9 მ²
11.	ფართი	5.1 მ²
		270.3 მ²

საერთო ჯამი 475.2 მ²

კ2 კოეფიციენტი 558.9 მ²

დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც. 02/10
არქიტექტორი	გ.გიგაური			TIFLIS city GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		პირველი სართულის გეგმა 0.000 ნიშნულზე მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

გადახურვის სქემა მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	03/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS city GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		გადახურვის სქემა მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ფასადი **1-4** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	03/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ფასადი **1-4** მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ფასადი **4-1** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	05/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ფასადი 4-1 მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ფასადი **A-E** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	06/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ფასადი **A-E** მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ფასადი **D-A** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	07/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ფასადი **D-A** მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ჭრილი **1-1** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	08/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ჭრილი 1-1 მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ჭრილი **2-2** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	09/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ჭრილი 2-2 მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	

ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში,
მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006

ჭრილი **3-3** მ1:100



დირექტორი	ა.ნარსია		ქ.თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა, N7-ში, მდებარე შენობა-ნაგებობა საკადასტრო ნუმერაციით 01/1, 02/1 და 03/1 აზომვითი ნახაზი ს/კ 01.14.03.042.006	ფურც.	10/10
არქიტექტორი	გ.გიგაური				TIFLIS CITY GIG GROUP
დამკვეთი	შპს ნიუ მონოპოლი		ჭრილი 3-3 მ1:100	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი" 2023წ.	